№10

ნოემბერი, 2021წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

ახალი მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარედ თამაზ ჟორჟოლიანი აირჩიეს

ბოლნისის ახალი მოწვევის საკრებულომ პირველი სხდომა ჩაატარა 3 დეკემბერს, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მეშვიდე მოწვევის საკრებულოს პირველის სხდომა გაიმართა, რომელიც სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების მიხედვით, წარმომადგენლობით ორგანოში ორი პარტია, უმრავლესობით „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ ხოლი ექვსი წევრით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“შევიდა. ახალი მოწვევის საკრებულოს სხდომა, ბოლნისის №23 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გახსნა. მან დეპუტატებს და დამსწრე საზოგადოებას, 2021 წლის 2 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების შედეგები კიდევ ერთხელ გააცნო.

საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე სხდომას უხუცესი წევრი, ნონა რეხვიაშვილი უძღვებოდა. მან დეპუტატებს საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატად თამაზ ჟორჟოლიანი წარუდგინა, რომელსაც დეპუტატების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი, რის შემდეგაც ფარული კენჭისყრით, საკრებულოს თავმჯდომარედ, მესამე ვადით, არჩეულ იქნა თამაზ ჟორჟოლიანი. ასევე ხმათა უმრავლესობით აირჩიეს წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი მირიანაშვილი, რასულ ბახტიაროვი და ნონა რეხვიაშვილი.

36 წევრიან საკრებულოში, 12 მაჟორიტარული, 24 კი პროპორციულიული სისტემით არჩეული წევრია. სხდომაზე დაკომპლექტდა ხუთი კომისია და მოხდა ამავე კომისიების თავმჯდომარეების არჩევა. ფარული კენჭისყრის პროცედურებში მონაწილეობა არ მიიღეს ნაციონალური მოძრაობის წევრებმა.

როგორი შემადგენლობით დაკომპლექტდა ბოლნისის ახალი საკრებულო

გვ:2

,,ჩვენი მიზანია, ბოლნისის მუნიციპალიტეტის თითოეულ სოფელში მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა”-დავით შერაზადიშვილი

გვ:2

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი 29 151 800 ლარით განისაზღვრა

1 დეკემბერს ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედმა შემადგენლობამ ბოლო სხდომა გამართა. სხდომაზე სხვადასხვა საკითხთან ერთად, დეპუტატებმა ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი განიხილეს და დაამტკიცეს.

მუნიციპალიტეტის მომავალი წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტი 29 151 800 ლარით განისაზღვრა. სოციალური მიმართულებით დაფინანსებამ 2022 წელს 3 800 000 ლარი შეადგინა. ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის კი 6 000 000 ლარი გამოიყო.

მომავალი წლის ბიუჯეტის პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავ რჩება ინფრასტრუქტურა, სოციალური უზრუნველყოფა, ჯანდაცვა და განათლება.

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2022 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებას მომავალ წელს 29 151 800 ლარი მოხმარდება. ვთვლი, რომ 2022 წლის ბიუჯეტში მაქსიმალურადაა ასახული მოქალაქეების ინტერესები და საჭიროებები. ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის სოციალური პროგრამები პრიორიტეტულია, ამიტომ ამ მიმართულებით მომავალი წლის ბიუჯეტში 3 800 000 ლარია გათვალისწინებული. 2022 წელს, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ, ინფრატრუქტურის მოწესრიგებისთვის მომავალი წლისთვის 6 000 000 ლარი გამოიყო. ვიმედოვნებ, რომ 2022 წელი ბოლნისისთვის არაერთი წარმატების მომტანი იქნება. ჩვენ კი მოქალაქეებისა და მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისთვის ძალისხმევას არ დავიშურებთ“, - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

,,ჩვენი მიზანია, ბოლნისის მუნიციპალიტეტის თითოეულ სოფელში მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა შევქმნათ, ამ კუთხით არაერთი პროექტი უკვე განვახორციელეთ და ამ სწრაფ ტემპს ჩვენ აუცილებლად შევინარჩუნებთ,"აცხადებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი

,,ჩვენი მიზანია, ბოლნისის მუნიციპალიტეტის თითოეულ სოფელში მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა შევქმნათ, ამ კუთხით არაერთი პროექტი უკვე განვახორციელეთ და ამ სწრაფ ტემპს ჩვენ აუცილებლად შევინარჩუნებთ,"აცხადებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურად გრძელდება.

სოფელ ქვემო ბოლნისში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, 1500 გრძივი მეტრის ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოების მეორე ეტაპი განხორციელდა. პროექტის ფარგლებში, ასევე 700 გრძივ მეტრზე სანიაღვრეებიც მოეწყო.

სოფელ ძველ ქვეშში კი 550 გრძივ მეტრზე, ბეტონის გზა ეწყობა. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 408 000 ლარს შეადგენს. ინფრასტრუქტურული პროექტის მიმდინარეობას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროს კონსტანტინე კორძაძესთან ერთად გაეცნო. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის 6 226 389 ლარია გამოყოფილი.

როგორი შემადგენლობით დაკომპლექტდა ბოლნისის ახალი საკრებულო

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საკანონმდებლო კომპეტენციის ფარგლებში 3 დეკემბერს საქართველოს მასშტაბით პირველი საკრებულოს სხდომა გაიმართა. ბოლნისის მუნიციპალიტეტში წარმომადგენლობითი ორგანოს ახალი შემადგენლობა, რომელიც მოსახლეობამ ოთხი წლის ვადით აირჩია, შემდეგნაირად გადანაწილდა:

ბოლნისის საკრებულოს შემადგენლობა

მაჟორიტარული ოლქი

1. დავით ჯაფარიძე
2. გიორგი მირიანაშვილი
3. ვუგარ ისაევი
4. რასულ ბაზტიაროვი
5. დოსტუ აშიროვი
6. მახირ ბაირამოვი
7. ლევონ მანუკიან
8. გიორგი ლომიძე
9. ფარუხ სარიევი
10. მურმან ნაბიევი
11. ალექსანდრე რეხვიაშვილი
12. გია ბასილაშვილი

პარტიული სია (პროპორციული)

ქართული ოცნება

1. თამაზ ჟორჟოლიანი
2. გიორგი სვანიძე
3. ნონა ყაველაშვილი
4. ვუსალ აშიროვი
5. გიორგო მჭედლიძე
6. ნონა რეხვიაშვილი
7. ბექა წაქაძე
8. კარა გულმამედოვი
9. ფერიდე ტვილდიანი
10. იმრან მ.გასილოვი
11. თეიმურაზ ჯოხაძე
12. თურანა ჯალილოვა
13. ბაჩუკი ჯაყელი
14. შერმადინ დადვანი
15. იანა ბერიანი
16. ლაშა ურუმაშვილი
17. ფუად მამედოვი
18. აიშა ახმედოვა

ნაციონალური მოძრაობა

1. ელგუჯა ჯაფარიძე
2. მუშვიგ ალლაზოვი
3. მარინა მარტიაშვილი
4. ნოდარი ინაძე
5. გიორგი სამხარაძე
6. ეკატერინე კობალავა

კამპანია „ავიცრათ ერთმანეთისთვის“ ბოლნისში აქტიურად მიმდინარეობს

„ავიცრათ ერთმანეთისთვის“- კამპანიის ფარგლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელთან მაკა მამარდაშვილთან ერთად, ბოლნისის მოსახლეობას შეხვდა და კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე ისაუბრა.

საინფორმაციო შეხვედრის დროს ხაზგასმით ისაუბრეს საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით მიღებულ განკარგულებაზე, კერძოდ: 2021 წლის 8 ნოემბრიდან მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საპენსიო ასაკის საქართველოს თითოეული მოქალაქე, რომელიც კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აიცრება 200 ლარიან დანამატს მიიღებს. ასევე დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია „მწვანე ბარათის“ შესახებ, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის პირველი დეკემბრიდან შევა ძალაში.

საინფორმაციო შეხვედრის დასრულების შემდეგ პენსიონერთა ნაწილმა მიიღო გადაწყვეტილება, ჩართულიყვნენ კოვიდ საწინააღმდეგო იმუნიზაციის პროცესში, საკუთარი და სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად.

კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრა შედგა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ნახიდურსა და ტალავერში, რომელსაც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ექსპერტი ზურა ალხანიშვილი უძღვებოდა და მონაწილეების მხრიდან ვაქცინაციასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს პასუხობდა. კამპანია ,,ავიცრათ ერთმანეთისთვის“ საქართველოს გაეროს ასოციაცია, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. კამპანიის მიზანია, მოსახლეობისთვის ვაქცინაციასთან დაკავშირებული აქტუალურ და საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხების მიწოდება. სოფელ ნახიდურში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, სოფელ ტალავერში კი ვაქცინაციის მსურველი მოსახლეობა აიცრა.

გაუარესებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, ბოლნისის

მუნიციპალიტეტში ოთხი მუდმივ მოქმედი ამცრელი დაწესებულებაა, საჭიროებიდან გამომდინარე კი სამი მობილური ბრიგადა სხვადასხვა სოფლებს მოიცავს. იმუნიზაცია ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ქვეყანაში არსებული სამი ვაქცინით: ფაიზერით, სინოფარმითა და სინოვაკით მიმდინარეობს.

ვაქცინაციასთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოს განცხადება



საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებთ კორონავირუსის აცრასთან დაკავშირებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ პოზიციას, რომელიც სინოდის დადგენილებაშია ასახული.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე მოხდა მისი განმარტება, უკანასკნელ პერიოდში ზოგიერთი სასულიერო პირის მხრიდან დაფიქსირებული რადიკალური პოზიციის გამო, კვლავ გავიმეორებთ, რომ აცრას არა აქვს რელიგიური დატვირთვა. და ამდენად დაუშვებელია, სასულიერო პირმა რელიგიური მოტივით მორწმუნეებს აუკრძალოს ამ პროცედურის ჩატარება ან შეუზღუდოს ზიარება იმის გამო, რომ ისინი აიცრნენ. მკურნალობის ამ მეთოდთან მიმართებაში, ქრისტიანისათვის რა თქმა უნდა, სრულიად მიუღებელია უხეში და შეურაცხმყოფელი მიმართვების გავრცელებაც. წმ. სინოდის განჩინებას ასევე ეწინააღმდეგება მოძღვრის მიერ მრევლისთვის მსახურებაზე პირბადის ტარების აკრძალვა.

შევნიშნავთ იმასაც, რომ ეკლესია მხარს ვერ დაუჭერს იძულებით ვაქცინირებას, რა მოტივითაც არ უნდა იყოს იგი ნაკარნახევი. ყველას უნდა ჰქონდეს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ეს ღვთისგან მონიჭებული ხელშეუხებელი უფლებაა და მისი დაცვა აუცილებელია.

კიდევ ერთხელ მივმართავთ სასულიერო პირებს, რომ მათი ქმედებები ვაქცინაციასთან დაკავშირებით არ გასცდეს სინოდის განჩინებას. თვითნებობის შემთხვევაში კი მრევლს შეუძლია მომართოს საქართველოს საპატრიარქოს.

1 დეკემბრიდან საქართველოში „მწვანე პასპორტი“ ამოქმედდა

მოქალაქეს მწვანე სტატუსი მიენიჭება იმ შემთხვევაში თუ ის აკმაყოფილებს შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს:

არის სრულად ვაქცინირებული;

გადატანილი აქვს Covid-19 და ვირუსის დადასტურებიდან გასულია 14 დღე;

ჩატარებული აქვს 72-საათიანი ვალიდურობის PCR ტესტი;

ჩატარებული აქვს 24-საათიანი ვალიდურობის ანტიგენ ტესტი;პანდემიის ეფექტური მართვისა და ბიზნესისა და მოქალაქეების მიერ სერვისების შეუფერხებლად მიღება-მიწოდების მიზნით, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შექმნილია ორი სპეციალური აპლიკაცია – CovidPass Georgia და Georgia e-Health.CovidPass Georgia აპლიკაციით სარგებლობა შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირს, როგორც საქართველოს მოქალაქეს, ისე უცხოელ ვიზიტორს. აღნიშნული აპლიკაციის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა დაწესებულებებში შესვლისა და ღონისძიებებზე დასწრების მიზნით. საზღვარგარეთ ვაქცინირებული პირი (უცხოელი ვიზიტორი ან საქართველოს მოქალაქე), საზღვარზე შემოსვლისას წარადგენს ვაქცინაციის დამადასტურებელ ცნობას ან PCR ტესტის ნეგატიურ პასუხს. საზღვრის კვეთის შემდეგ, პირს შეეძლება მარტივად დარეგისტრირდეს CovidPass Georgia აპლიკაციაში და ის შეუფერხებლად შეძლებს შესაბამის სივრცეებში შესვლას და ღონისძიებებზე დასწრებას.აპლიკაცია Georgia e-Health გამოიყენება, საერთაშორისო მგზავრობისთვის და უზრუნველყოფს შეუფერხებლად შესვლას ევროკავშირის ციფრული კოვიდ-სერტიფიკატის სისტემაში ჩართულ 51 ქვეყანაში.შეგახსენებთ, რომ მოქალაქეები „მწვანე პასპორტით“ შესვლას შეძლებენ შემდეგ დაწესებულებებში: სასტუმროები და განთავსების სხვა ობიექტები, კვების ობიექტები (რესტორნების, კაფეების, ბარების ღია და დახურული სივრცეები, მათ შორის სავაჭრო ცენტრებში არსებული), კინოთეატრები, თეატრები, საკონცერტო დარბაზები, ოპერა, გასართობი ობიექტები, სამორინეები და სათამაშო ბიზნეს ობიექტები, სპა ცენტრები და ფიტნეს დარბაზები, სამთო კურორტების საბაგიროები.მონიტორინგს, შერჩევის პრინციპით, განახორციელებს ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის სამსახური, შსს-ს და შემოსავლების სამსახურის

შესაბამისი დეპარტამენტები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, სურსათის ეროვნული სააგენტო.ობიექტზე არა მწვანე სტატუსის მქონე პირის დაშვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულებას. წესის დარღვევის შემთხვევაში სანქცია იურიდიული პირისთვის შეადგენს 10,000 ლარს, ინდ. მეწარმისთვის – 2,000 ლარს. სამართალდარღვევის განმეორების შემთხვევაში კი მოხდება ობიექტის დალუქვა.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ცხელი ხაზის შემდეგ ნომრებს- 1505, 144, 1522 და ასევე, ეწვიეთ ვებ-გვერდს – https://www.provax.ge/

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ – https://matsne.gov.ge/ka/document/view/5293475?publication=0

„პანდემიის თაობა“

რუბრიკა „პანდემიის თაობა“ კიდევ ერთ მიზანდასახულ და წარმატებულ გოგონას, წარჩინებულ კურსდამთავრებულს, ირინე ჟუჟუნაშვილს მასპინძლობს. მიუხედავად პანდემიისა, ირინესთვის ბოლო ზარი, რომელიც 31 მაისს დაირეკა, განსაკუთრებულ დღედ დარჩება. ძალიან უყვარს ქართული ცეკვები, თუმცა, დროებით მიატოვა საყვარელი საქმიანობა, სამომავლოდ ისევ აპირებს სამოყვარულო დონეზე მაინც დაუბრუნდეს, რათა ცეკვისგან მიღებულ ბედნიერებას ეზიაროს. რაც შეეხება მომავალ პროფესიას, ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ, ის ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა.

-ვინ არის ირინე ჟუჟუნაშვილი?

-18 წლის გოგონა, რომელსაც აქვს დიდი მიზნები, ჩემ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს, ვარ მიზანდასახული და ორგანიზებული, იმისთვის რომ დასახულ მიზანს მივაღწიო, ბევრს ვშრომობ. ჩემზეც იმოქმედა პანდემიამ, მაგრამ თითოეული ადამიანი ინდივიდუალურია და, ფსიქოლოგიურად, ყველა სხვადასხვაგვარად მიუდგა არსებულ მდგომარეობას. ვფიქრობ, შევძელი პანდემიასთან ერთად ცხოვრება, რაც დამეხმარა, რომ მიზნამდე მისასვლელ გზაზე, პანდემიას ხელი არ შეეშალა.

-მომიყევი სკოლის კედლებში გატარებულ წლებზე, როგორი იყო ეს თორმეტი წელიწადი....

-დაუვიწყარი და ბედნიერებით აღსავსე 12 წელი გავატარე . ყოველთვის მიყვარდა სკოლა, მასწავლებლებთან და კლასელებთან ურთიერთობა. განსაკუთრებით კარგად მახსენდება ბოლო სამი წელი. მე-10 კლასში იოანე ბოლნელის სახელობის სკოლაში გადავედი და ჩემთვის ცხოვრების ახალი ეტაპი. ახალ ადამიანებთან ერთად დაიწყო. უბედნიერესი და დასამახსოვრებელი დღეები გავატარე მათთან ერთად და ბევრი რამ ვისწავლე ამ სკოლაში, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მათ. ყველაზე მეტად ეს ბოლო სამი წელი იმიტომ მიყვარს, რომ სწორედ ამ პერიოდში შევიძინე უახლოესი მეგობრები, რომლებიც დღეს ჩემთვის ძალიან ძვირფასები არიან.

-ირინკა, როგორი წარმოგედგინა ბოლო ზარი და რა შეცვალა პანდემიამ...

-დაწყებითი კლასებიდანვე ბოლო ზარზე და ბანკეტზე ვფიქრობდი, როგორი ვიქნებოდი სკოლის დასრულებისას, როგორ მოვემზადებოდი ბოლო ზარისთვის. უკვე მეთორმეტე კლასელს მსურდა, რომ ბოლო ზარი, ჩემს კლასთან ერთად, საუკეთესო და დასამახსოვრებელი ყოფილიყო. გადავწყვიტეთ რეგულაციების დაცვით აღგვენიშნა ეს დღე. მოვახერხეთ და შესანიშნავი ბოლო ზარი მოვიწყვეთ. 31 მაისი, ყოველთვის განსაკუთრებულ დღედ დარჩება ჩემს მეხსიერებაში, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდი კლასელებს და სკოლას .

-გაქვს გამორჩეული საგანი, რომელიც ძალიან გიყვარს, თუ ყველას ერთნაირი მონდომებით ამზადებდი?

- ვცდილობდი ყველა საგანი კარგად მომემზადებინა, თუმცა გამორჩეულად მიყვარდა ბიოლოგია და მათემატიკა, მათი სწავლა თითქმის არასოდეს დამზარებია.

-ირინკა, რა პროფესია აირჩიე და რატომ?

-მე-11 კლასის დასრულების შემდეგ, დავიწყე ფიქრი, რომელ უნივერსიტეტში და რა მიმართულებით გამეგრძელებინა სწავლა. ბევრი ფიქრის და განსჯის შემდეგ, ავირჩიე ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მენეჯმენტის პროგრამა, რადგან ყველაზე მეტად ეს სფერო იყო ჩემთან ახლოს. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე, რადგან უკვე დავიწყე სწავლა და ძალიან მომწონს ეს მიმართულება, დიდი ინტერესით ვესწრები ყოველ ლექციას.

-როგორ შეხვდა ოჯახი შენს გადაწყვეტილებას?

-ჩემი ოჯახი არ განეკუთვნება იმ კატეგორიას, ვისაც შვილების მომავალი ადრეული ასაკიდან აქვთ დაგეგმილი. ოჯახი ჩემს ყველა გადაწყვეტილებას პატივს სცემს, გვერდში მედგნენ და მამხნევებდნენ, მათთვისაც მნიშვნელოვანი იყო ის სფერო ამერჩია, რომელიც ნამდვილად საინტერესო და შესაფერისი იქნებოდა ჩემი შემდგომი განვითარებისთვის. ვფიქრობ, ეს რთული გზა, მათთან ერთად გავიარე.

-გარდა სასკოლო პროგრამისა, თუ იყავი ჩართული პროექტებში?

-სკოლის პერიოდში მონაწილეობას ვიღებდი ბევრ საინტერესო პროექტში და კონკურსში, რომლის წყალობითაც დიდი ცოდნა და გამოცდილება დამიგროვდა. მათ შორის გამოვარჩევდი საქართველოს ეროვნული არქივის მიერ წარმოებულ პროექტს ,,რა? სად ? როდის?'', Educational Debates Association of Georgia-ის სასწავლო დებატების კონკურსს. ასევე გავიარე KEY CONSULTING-ის ლიდერთა სკოლის კურსი, პირველი ადგილი დავიკავე ბოლნისის გამგეობის მიერ ჩატარებულ ვიქტორინაში , რომელიც მოეწყო მდგრადი ენერგეტიკის დღესთან დაკავშირებით.

-გარდა სასკოლო ცხოვრებისა

-5 წლიდან დავდიოდი ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლში და იმ დროიდან მოყოლებული ძალიან მიყვარს ქართული ცეკვები. მაღალ კლასებში გადასვლის შემდეგ, ცეკვის ანსამბლის დატოვება მომიწია , თუმცა ვაპირებ ისევ დავუბრუნდე სამოყვარულო დონეზე მაინც. ცეკვა ჩემთვის განტვირთვის ერთ-ერთი საშუალებაა, ამ დროს შემიძლია სრულიად დავიცალო ემოციებისგან, ენერგიისგან, მოვეშვა და სრულიად სხვა სამყაროში გადავეშვა.

-რა გავლენა მოახდინა პანდემიამ შენს ცხოვრებაში?

-ყველაზე მეტად დამაფიქრა ცხოვრებაზე, დავაფასე ის უდარდელი დღეები, რომელიც პანდემიამდე მქონდა.

-თუ გაქვს თავისუფალი დრო და რისი კეთება გიყვარს ამ დროს?

-ამჟამად, დატვირთული რეჟიმიდან გამომდინარე, მიჭირს ბევრი თავისუფალი დროის გამონახვა, თუმცა ვცდილობ მეგობრებთან ერთად გავატარო, ვუყურო ფილმებს და წავიკითხო წიგნი.

-ბოლო წიგნი, რომელიც წაიკითხე?

-ერიხ მარია რემარკი ,,სიცოცხლის ნაპერწკალი''

-რას გეგმავ მომავალში?

-დღევანდელ ვითარებაში რთულია მომავლის დაგეგმვა, თუმცა პირველ რიგში, წარმატებული კარიერის დაგეგმვა მახსენდება.

-რა არის ამჟამად შენთვის ყველაზე მთავარი?

-ჩემთვის მნიშვნელოვანია, ძვირფასი ადამიანების ჯანმრთელობა და ბედნიერება.

- ცხოვრებაში წარმატება ჩემთვის ნიშნავს...

-ჩემთვის წარმატება ცხოვრებაში იმის მიღწევაა, რაც მე გამაბედნიერებს.

-რამდენად არის დამოკიდებული წარმატება ბედნიერ შემთხვევაზე?

-შეიძლება ბედნიერმა შემთხვევითობამაც მოგვიტანოს წარმატება, მაგრამ მთავარია მაინც რამდენად ეცდება ადამიანი საკუთარი მიზნების მიღწევას, იმასაც გააჩნია, ვისთვის რა არის წარმატება.

-სად ხედავ თავს 5 წლის შემდეგ...

-5 წლის შემდეგ ჩემს თავს ვხედავ, როგორც წარმატებულ ახალგაზრდა გოგონას, რომელიც განათლების მიღებას უცხოეთში აგრძელებს, პარალელურად მუშაობს თავისი პროფესიით და მუდმივად ცდილობს განვითარებას.

-ყველაზე მთავარი ადამიანები შენს ცხოვრებაში.

- ოჯახის წევრები და საუკეთესო მეგობრები,

რომელთა გარეშეც ცხოვრება ძალიან გამიჭირდებოდა.

-რა უნდა იცოდეს შენზე საზოგადოებამ.

- საზოგადოებამ ჩემს შესახებ რაც უნდა იცოდეს, არის ჩემი მიზანდასახულობა, მინდა ეს სიტყვები ყველასთვის მოტივაციად იქცეს და არ შეწყვიტონ ბრძოლა იმ მიზნებისთვის, რაც ცხოვრებაში აქვთ დასახული.

-პანდემია რომ დასრულდება, პირველი რას გააკეთებ?

-დიდ წვეულებას მოვაწყობ მეგობრებთან ერთად.

-რას ეტყოდი მათ, ვინც ახლა გადის იმ გზას, რომელიც შენ გაიარე?

-დაისახეთ მიზანი და ყველაფერი გააკეთეთ ამ მიზნის მისაღწევად. არაფრის შეგეშინდეთ, არასდროს დანებდეთ, ბევრი იშრომეთ და აუცილებლად მიაღწევთ იმას, რაც გსურთ.

-როგორ ქვეყანაში ისურვებდი ცხოვრებას.

-ისეთ ქვეყანაში, სადაც ხალხს ერთმანეთი ეყვარება, ერთმანეთის დაფასება ეცოდინებათ და პატივს სცემენ ერთმანეთს. მჯერა, თუ ადამიანებს ერთმანეთის მიმართ შური და მტრობა არ ექნებათ, ქვეყანაშიც ყველაფერი ბევრად უკეთესად იქნება.

-ირინკა, დაგვისახელე მომავალი წარმატებული ადამიანი, ვის ხილვასაც ისურვებდი ჩვენს რუბრიკაში.

- თქვენს რუბრიკაში დავასახელებ ჩემთვის ერთ-ერთ წარმატებულ ახალგაზრდას ქრისტინე ქუქჩიშვილს, ის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების ფაკულტეტის სტუდენტი, ბოლნისის ქალთა რადიო WW-ს ჟურნალისტია.

-წარმატებას ვუსურვებთ რუბრიკის სტუმარს მომავალ საქმიანობაში, შემდეგ ნომერში კი ქრისტინე ქუქჩიშვილს გაგაცნობთ.

გავერთიანდეთ თამარისთვის!

„თამარ მოგვენატრე, მალე დაგვიბრუნდი გამოჯანმრთელებული“, ასე მიმართეს თამარს კლასელებმა კულტურის სახლის წინ გამართული საქველმოქმედო ღონისძიებიდან, რომელსაც მისივე სკოლამ გაუკეთა ორგანიზება. ქალაქ ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის №1 საჯარო სკოლის აღსაზრდელებმა გამოფენაზე საკუთარი ხელით შექმნილი ნივთები გამოიტანეს. აღნიშნული აქციის გამართვის იდეაც სკოლის კედლებში დაიბადა და ჩართულობის სურვილიც ყველამ გამოთქვა.

თამარ ჯაქვლიანს უმძიმესი დიაგნოზი – ლეიკემია დაუდასტურდა და უკვე რამდენიმე თვეა ებრძვის ამ დაავადებას. 11 წლის თამარი ნათესავების, ახლობლებისა და კეთილი ადამიანების წყალობით გადის მკურნალობის კურსს, თუმცა თანხა არ შეგროვდა იმ რაოდენობის, რაც მისი მკურნალობისთვისაა საჭირო.

თამარ ჯაქვლიანი ძალიან ენატრება კლასელებს, მეგობრებს, ნათესავებს, ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ თამარი მალე გამოჯანმრთელდეს და დაუბრუნდეს ჩვეულ გარემოს. სკოლის მიერ ორგანიზებულ აქციაში საკუთარი ნამუშევრებით ჩაერთო მეთოჯინე ქალბატონი ნანა მამარდაშვილი.

ლეიკემიაზე გამარჯვება თამარის ყველაზე დიდი ოცნებაა. მძიმე დაავადების დასამარცხებლად ფინანსებია საჭირო, რომლის მოძიებაც მთავარ პრობლემად რჩება. გავერთიანდეთ სიკეთისთვის, გავიღოთ თანხა და გადავარჩინოთ თამარი, რომელიც ასე ძალიან უყვართ და ენატრებათ.

საქართველოს ბანკი
#GE79BG0000000100532904
მიმღები:მამიდა სოფიკო ჯაქვლიანი

ბოლნისის ,,სიონი" ეროვნული ლიგა 2-ის გამარჯვებულია

თამაზ სტეფანიას სახელობის ბოლნისის ცენტრალურ სტადიონზე ბოლნისის ,,სიონმა", საფეხბურთო კლუბი ,,გაგრა" ანგარიშით 2:1 დაამარცხა და კრისტალბეთ ლიგა 2-ის გამარჯვებული გახდა. ,,გაგრას" კარში გოლები გიორგი ივანიაძემ და თომა ტაბატაძემ გაიტანეს. ,,სიონმა" ამ გამარჯვებით ეროვნულ ლიგაში დაბრუნება შეძლო და ახალი სეზონიდან ბოლნისური გუნდი უკვე საქართველოს მთავარ საფეხბურთო ჩემპიონატში იასპარეზებს.

,,სიონისა" და ,,გაგრას" შორის გამართულ მატჩს ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მაჟორიტარი დეპუტატი გოგი მეშველიანი და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი ესწრებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ლიგა 2-ის ეგიდით "სიონის" კაპიტანმა დათა სიჭინავამ 100 გოლი გაიტანა. კაპიტანს სიმბოლური საჩუქარი, სიონის სპორტულმა დირექტორმა, ჯონი ჯაგიდისმა გადასცა.

,,საფეხბურთო კლუბი ,,სიონი" ეროვნულ ლიგაში დაბრუნდა. ვულოცავ,,სიონის" ფეხბურთელებს, მწვრთნელებსა და გულშემატკივრებს ამ მნიშვნელოვან გამარჯვებას. ჩვენი გუნდი ქართული ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია, "სიონში" არაერთი ცნობილი ფეხბურთელი აღიზარდა, რომელმაც ქართული საფეხბურთო ტრადიციები ქვეყნის საზღვრებს გარეთ გაიტანა." სიონის" ყოველი წარმატება განსაკუთრებით გვახარებს, რადგან ამ გუნდმა თითოეულ ბოლნისელს ფეხბურთის სიყვარული ასწავლა. ჩვენი გუნდი ბოლნისის სპორტულ ცხოვრებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის პროცესში უდიდეს როლს ასრულებს, ამიტომ, ბოლნისური გუნდის გამარჯვებები ორმაგად მნიშვნელოვანია ჩვენთვის. მიხარია, რომ ჩვენმა გუნდმა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა და მჯერა, ჩვენი ბიჭები ჩემპიონობისთვის შეუპოვრად იბრძოლებენ. დარწმუნებული ვარ, ბოლნისური გუნდი მომავალშიც არაერთხელ გაგვახარებს, ბოლნისელი გულშემატკივარი კი თავის საყვარელ გუნდს ყოველთვის დიდი მონდომებით

უგულშემატკივრებს",- განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

მეპურე ქალის აფხაზეთში დაბრუნების გაუნელებელი ოცნება

ლია უგრეხელიძის დილა 6 საათზე, თონის გახურება-ჩაცხრობით, ცომის მოზელა-ამოსვლით, ამოგუნდავებული მასის ბალიშზე დაკვრითა და თონეში ჩაკვრით იწყება.

ახალგაზრდა მცირე მეწარმე, ყოველდღიურად 400-დან 500-მდე ნატურალურ ნედლეულზე დამზადებულ შოთის უგემრიელეს პურს აწარმოებს და დაქირავებულ მუშახელთან ერთად, თავადაც აქტიურადაა ჩართული ბიზნესის წარმოებაში.

ლიას მთავარი მამოძრავებელი ძალა საქმის სიყვარული, ენერგია და მონდომებაა. საცხობის გახსნის დღიდან თავადაც დაიწყო თონეში პურის ჩაკვრა, მართალია თავიდან გაუჭირდა, მაგრამ არ შეეშვა და დღეს იგი საუკეთესო მეპურე ქალია ბოლნისში.

კარგ მცხობელთან ერთად, ლია ქველმოქმედია, საკუთარი შემოსავლის წყარო აძლევს იმის საშუალებას გაიღოს უანგაროდ და თუნდაც მცირედით დაეხმაროს ადამიანებს. მკაცრი საკარანტინო რეჟიმის დროს, მან არა ერთ საქველმოქმედო აქციაში მიიღო მონაწილეობა, მრავალშვილიან ოჯახებს, ცხელ-ცხელ შოთის პურებს სახლში მიტანით თავად ურიგებდა. სიკეთის ფერხულში ყოფნა მისთვის დიდი ბედნიერებაა, ნანობს, რომ ჯერ-ჯერობით ბიზნესს ვერ აფართოებს, ვერ ასაქმებს მეტ ადამიანს და ვერ ეხმარება სოციალურად დაუცველებს ისე, როგორც თავად უნდა.

ლია აფხაზეთიდანაა. 6 წლისამ დედასთან და 2 დედმამიშვილთან ერთად დატოვა სოხუმი, უმამოდ, დევნილობაში გაზრდილმა კარგად იცის გაჭირვების, უქონლობის და დახმარების ფასი, სწორედ ეს ყველაფერი გახდა მოტივატორი დაეწყო კერძო საქმიანობა, გასჩენოდა საკუთარი შემოსავლის წყარო და ეკეთებინა სიკეთე, რომელიც მას დიდ ბედნიერებას ანიჭებს.

-ლია, როდის დაიწყე პურის ცხობა?

-4 წლის უკან გაჩნდა იდეა გამეხსნა საცხობი, სადაც ვაწარმოებდი შოთის პურს, ავიყვანე კარგი ხაბაზი, რომელმაც მასწავლა ცხობა და ასე, ნელ-ნელა მოვედი დღემდე.

-ქალისთვის მეპურეობა ალბათ შრომატევადი და დამღლელი საქმეა.

-რა თქმა უნდა რთულია, ყოველდღიურად 4 ტომარა ფქვილის მოცომვა, თონის მომზადება, 500-მდე შოთის პურის გამოცხობა და მისი რეალიზება, მქონდა მძიმე პერიოდიც, ერთწლიანი პაუზა, რომელიც

გამოწვეული იყო ავტო-საგზაო შემთხვევის დროს მიღებული სერიოზული ტრამვით.

-ლია, ბოლნისში ბევრი თონეა, თუმცა ქალი მეპურე, არსად.

-დღემდე უკვირთ, რომ დამინახავენ თონეში პურს როგორ ვაკრავ, მეუბნებიან „გოგო და მეპურეო"?

- იყო შემთხვევები, როცა პური ჩამვარდნია, მაგრამ დიდად არ მინერვიულია, ვიცოდი რომ გამომივიდოდა.

-რა განიჭებს ყველაზე დიდ ბედნიერებას?

-რა თქმა უნდა ჩემი შვილის ლაღი და ხალისიანი სახე, როცა ვაკეთებ სიკეთეს, ვეხმარები ადამიანებს და ჩემი მცირედი წვლილი შემაქვს მათ კეთილდღეობაში.

-რა არის ის, რაც ყველაზე მეტად გსურს?

-როგორც ყველა დევნილის, ჩემი სურვილიც აფხაზეთში დაბრუნება და დაკარგული ტერიტორიების შემოერთებაა. მთავარია გვიყვარდეს ერთმანეთი, ვაკეთოთ სიკეთე და ვიყოთ მიმტევებლები.

მარინა გავაშელი

ბერმუხა, რომელმაც დაგვწყვიტა გული

მას მთელი ქალაქი იცნობდა და პატივს სცემდა. თავისუფალი ქიდაობა, სპორტის განვითარება და ახალგაზრდების აქტიური ცხოვრება, ბატონ აკაკი ქუქჩიშვილთან სამუდამოდ დაკავშირდა. მას უყვარდა თავისი საქმე და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ახალგაზრდების აღზრდა განვითარებას. მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ბოლნისის სიყვარულთან იყო დაკავშირებული, სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით გაახარა ბოლნისის საპატიო მოქალაქის სტატუსმა, რომელიც 80 წლის ასაკში მიენიჭა. ამაგდარი სპორტსმენი, ღვაწლმოსილი მწვრთნელი, ბოლნისის საპატიო მოქალაქე , ღირსების ორდენის კავალერი და საქართველოს დამსახურებული პედაგოგი აკაკი ქუქჩიშვილი, ცხოვრების 85-ე წელს გარდაიცვალა.

ბატონი აკაკი თავისი მოკრძალებული და აქტიური ცხოვრებით წლების განმავლობაში ქმნიდა ბოლნისის სპორტული ცხოვრების საინტერესო ისტორიას, მან თავისი შეგნებული ცხოვრება დაუკავშირა ახალგაზრდობაში თავისუფალი ქიდაობის აღორძინებას. მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში, მრავალჯერ იყო ქალაქ ლენინგრადის ჩემპიონი და სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი. 1964 წელს ბატონი აკაკი დაუბრუნდა ბოლნისს, სადაც დააარსა ქიდაობის სექცია, დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა, რომლის ბაზაზეც შეიქმნა ბოლნისის სპორტული სკოლა.

პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში ბატონმა აკაკიმ აღზარდა მრავალი სახელოვანი სპორტსმენი და სახელოვანი მწვრთნელი, რომელთა უმრავლესობა დღესაც ეწევა წარმატებულ სამწვრთნელო საქმიანობას. მისი აღზრდილი ავთანდილ ბუალავა, საქართველოს პირველი ჩემპიონი და სსრკ-ს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი გახდა. მისი აღზრდილები არიან საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები: გოგი ჩაკვეტაძე, ბადრი გამყრელიძე, თემურ მღდელაძე, ედუარდ რეხვიაშვილი, სერგო დავითაშვილი, თენგიზ მაისურაძე, ზაზა ყიფშიძე, ბესიკ სივსივე , გივი მუშკუდიანი, კარლო ბრეგვაძე, ვალერი ისაგულოვი, ელგუჯა ბასილაშვილი, აბდულ ტაიროვი, გია ბუალავა, ნიკოლოზ ალეპოვი, ხვიჩა მაღრაძე, ზურაბ მიქელაძე, ზურაბ სივსივე, ზურაბ რეხვიაშვილი, ავთანდილ ბობოხიძე, თამაზ და კობა ქობულაძეები, დავით ყიფშიძე, ბესიკ ბუალავა, დავით მამულაშვილი, ედიშერ ჯაჯანიძე, როლანდ ფრუიძე, პაატა აბულაძე, როინ მეტრეველი, მალხაზ ასათიანი, შმაგი სვანიძე, ბექა მიქელაძე, გურამ ლაბაძე, ზურაბ მაისაშვილი და შავლეგ ყულიაშვილი.

ბატონი აკაკი ქუქჩიშვილის პედაგოგიური და სპორტული მოღვაწეობა არაერთხელ აღინიშნა , როგორც ადგილობრივი, ასევე განათლების სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი კომლექსის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი უდიდესი მადლიერების გრძნობით ქედს იხრის მის წინაშე და იმედოვნებს, რომ მომავალშიც პირნათლად გააგრძელებს ბატონ აკაკის დაწყებულ საქმეს, ხოლო მისი ხსოვნის უკვდავსაყოფლად ყოველი წლის ოქტომბრის თვეში დააწესებს და ჩაატარებს აკაკი ქუქჩიშვილის ხსოვნის მემორიალურ ტურნირს.

„დავითის მარანი“ წარსულისა და მომავლის ისტორიას აერთიანებს

„დავითის მარანი“ ბოლნისში, ოქროსფერი ღვინის ქალაქში მდებარეობს, აქ მეღვინეობა-მევენახეობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. თუმცა დღეს ბოლნისელი მეღვინეები ღვინის წარმოებას ქართული ტრადიციით და ევროპული გამოცდილების გაზიარებით აგრძელებენ. ბენიძეების ოჯახში ღვინის ტრადიცია შორეული წარსულიდან იწყება, ვაზის მოვლას, ყურძნის დაწურვას და ღვინის დაყენებას ოჯახის უფროსი დავით ბენიძე უძღვებოდა. წლების შემდეგ კი

ოჯახის ტრადიცია ახალგაზრდა თაობამ გააგრძელა. „დავითის მარანი“ დღეს ორი სახეობის ღვინოს „რქაწითელსა“ და „შავკაპიტოს“ აწარმოებს. „დავითის მარანის“ ტრადიციებსა და სამომავლო გეგმებზე პროფესიით ჟურნალისტი ელენე ბენიძე გვესაუბრა.

-ელენე გვიამბე თქვენი მარანის და აქ დაყენებული ღვინოების შესახებ.

-ჩვენს მარანში სულ ორი სახეობის ღვინოს შეხვდებით „რქაწითელს“ და „შავკაპიტოს“. მამას მთავარი გატაცება და ექსპერიმენტი „შავკაპიტოს“ ღვინის წარმოება იყო, რომელიც ბოლნისურ მეღვინეობაში იშვიათია და პრაქტიკულად რამდენიმე ოჯახს აქვს. ექსპერიმენტმა გაამართლა და დღეს „დავითის მარანში“ „შავკაპიტო“ ნამდვილად გამორჩეული ღვინოა. გზა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, არის ორგანული ღვინის წარმოება, „შავკაპიტო“ წითელი მშრალი ღვინოა და ის 6 თვის განმავლობაში ქვევრშია დავარგებული. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად მომისმენია სხვადასხვა ბიზნესის წარმატებული ისტორია, სწორედ ჩემმა პროფესიამ და მამას უსაზღვრო ენთუზიაზმმა, გადამაწყვეტინა საოჯახო მარნის დაარსება.

-რატომ „დავითის მარანი“?

-დავითი იმ ბაბუას ჰქვია, რომლისგანაც ოჯახმა ღვინის ტრადიცია დაამკვიდრდა, მისი სახელის მატარებელია ჩემი ძმაც, „დავითის მარანი“ აერთიანებს როგორც წარსულის, ისე მომავლის ისტორიას.

-რა გზა გაიარა თქვენმა ღვინოებმა?

-ღვინოებმა საკმაოდ რთული გზა გაიარა, პირველი ნაბიჯი, რომელიც გადავდგით, ღვინის ბოთლში ჩამოსხმა იყო. შემდეგ დავიწყეთ ფიქრი ბრენდის ლოგოზე და ეტიკეტებზე. პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი, თუმცა საინტერესო აღმოჩნდა. მთელი ოჯახი ვიყავით ამ ამბავში ჩართული. „დავითის მარანმა“ ღვინის ბოთლში ჩამოსხმა და დაბრენდვა 2020 წლიდან დაიწყო. დაახლოებით 100 ბოთლამდე „შავკაპიტოს“ და 300 ბოთლამდე „რქაწითელს“ ვაწარმოებდით. საოჯახო მარნის გაფართოებისა და ცნობადობის ამაღლების კუთხით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, „ღვინო ბოლნისის“ გაერთიანებაში გაწევრიანება იყო. მათი დახმარებით სხვადასხვა ღვინის ფესტივალზე ვიღებთ მონაწილეობას, რაც გვიზრდის პოტენციურ მომხმარებელს.

-როგორია „დავითის მარნის“ სამომავლო გეგმები?

-„დავითის მარნის“ სამომავლო გეგმები საკმაოდ მასშტაბურია, გვინდა საკუთარ ვენახში ტურისტულად აქტიური ზონა მოვაწყოთ, სადაც დაინტერესებული ადამიანები დააგემოვნებენ ჩვენს ღვინოს , შეძლებენ ვენახის დათვალიერებას და ტრადიციების გაცნობას. სამომავლოდ ღვინის ექსპორტსაც განვიხილავთ და ჩვენი სურვილია, ევროპის ბაზარზე, საკუთარი ნიშა დავამკვიდროთ.

ავტორი: მაგდა დევნოზაშვილი

Bolnisi Bələdiyyəsinin 2022-ci il büdcəsi 29 151 800 lari müəyyən edilib.

Bolnisi Bələdiyyəsi Sakrebulo bu gün son iclasını keçirdi. İclasda deputatlar müxtəlif məsələlərlə yanaşı, Bolnisi Bələdiyyəsinin 2022-ci il büdcəsini də müzakirə edərək təsdiq ediblər. Bələdiyyənin gələn il üçün əsas maliyyə sənədi 29 151 800 lari müəyyən edilib. 2022-ci ildə sosial maliyyələşdirmə 3 800 000 lari təşkil edib. İnfrastruktur işlərinə 6 000 000 lari ayrılıb. Gələn ilin büdcəsində infrastruktur, sosial təminat, səhiyyə və təhsil prioritetləri olaraq qalır.

“Məqsədimiz Bolnisi Bələdiyyəsinin hər bir kəndində yol infrastrukturunu yaxşılaşdırmaqdır”- David Şerazadişvili

"Məqsədimiz Bolnisi Bələdiyyəsinin hər bir kəndində yaxşı təşkil olunmuş yol infrastrukturunu yaratmaqdır. Biz bununla bağlı artıq bir sıra layihələr həyata keçirmişik və bu sürətli tempi mütləq qoruyub saxlayacağıq", - deyə Bolnisi Bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili bildirib.

Bolnisi bələdiyyəsi üzrə infrastrukturun təşkili fəal şəkildə davam edir.

Kvemo Bolnisi kəndində rayonlarda həyata keçiriləcək layihələr fondunun və yerli büdcənin birgə maliyyələşdirilməsi ilə 1500 metr uzunluğunda beton yolun ikinci mərhələsi həyata keçirilib. Layihə çərçivəsində 700 metr uzunluğunda drenajlar da təşkil edilib.

Dzvel Kveşi kəndində isə 550 metr uzunluğunda beton yol çəkilir. İşlər regionlarda həyata keçiriləcək layihələr fondu və yerli büdcə hesabına birgə maliyyələşdirilir və onun dəyəri 408 000 lari təşkil edir. Bolnisi Bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili Məkan Planlaşdırma və İnfrastruktur Xidmətinin rəhbəri Konstantine Kordzadze ilə birlikdə infrastruktur layihəsinin gedişi ilə tanış olub.

Bolnisidə “Bir-birimiz üçün peyvənd olaq” kampaniyası fəal şəkildə davam edir

“Bir-birimiz üçün peyvənd olaq” - kampaniya çərçivəsində Bolnisi Bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili İctimai Səhiyyə Mərkəzinin rəhbəri Maka Mamardaşvili ilə birlikdə Bolnisi əhalisi ilə görüşüb və Kovid-19-a qarşı peyvəndin əhəmiyyəti və ehtiyacı barədə danışıb.

Məlumat görüşü zamanı Koordinasiya Şurasının qərarı ilə qəbul edilmiş sərəncam müzakirə edilib, xüsusilə: 8 noyabr 2021-ci il tarixindən 31 dekabr 2021-ci il tarixinədək Gürcüstanın təqaüd yaşında olan hər bir vətəndaşı Covid-19-a qarşı peyvənd olunacaq 200 lari oensiya əlavəsi alacaq. Hökumətin qərarı ilə bu il dekabrın 1-dən qüvvəyə minəcək “Yaşıl Pasport” haqqında da tədbir iştirakçılarına məlumat verilib.

Brifinqdən sonra bəzi təqaüdçülər həm özlərinin, həm də başqalarının həyatını xilas etmək üçün Covid virusuna qarşı immunizasiya prosesinə qoşulmaq qərarına gəliblər.

Kampaniya çərçivəsində Bolnisi Bələdiyyəsinin Naxiduri və Talaveri kəndlərində ictimai səhiyyə eksperti Zura Alxanişvilinin rəhbərlik etdiyi məlumat görüşü keçirilib, o, peyvəndlərlə bağlı iştirakçıların suallarını cavablandırıb. “Bir-birimiz üçün peyvənd olaq” kampaniyası Birləşmiş Millətlər Təşkilatının Gürcüstan Assosiasiyası tərəfindən Xəstəliklərə Nəzarət və İctimai Sağlamlıq Milli Mərkəzi ilə əməkdaşlıqı, Ümumdünya Səhiyyə Təşkilatı və Avropa İttifaqının maliyyə dəstəyi ilə həyata keçirilir. Kampaniyanın məqsədi əhali üçün peyvəndlə bağlı aktual və maraqlı suallara düzgün cavablar verə bilməkdir. Naxiduri kəndində məlumatlandırma görüşü keçirilib, Talaveri kəndində isə könüllü peyvənd olunmaq istəyən əhali peyvənd edilib.

Epidemioloji vəziyyətin pisləşməsi ilə əlaqədar Bolnisi Bələdiyyəsində 4 daimi peyvəndləmə qurumu fəaliyyət göstərir və zərurətlə əlaqədar üç mobil briqada müxtəlif kəndləri əhatə edir. Bolnisi Bələdiyyəsində peyvəndləmə ölkədə mövcud olan üç peyvəndlə həyata keçirilir: Pfizer, Sinopharm və Sinovak.

Bolnisidə “Bir-birimiz üçün peyvənd olaq” kampaniyası fəal şəkildə davam edir

Gürcüstanın Mədəniyyət, İdman və Gənclər Nazirliyinin dəstəyi ilə Azərbaycanlı uşaq Teatrı “BEEZ” Bolnisidə tamaşa nümayiş etdirib. Balaca aktyorlar Mədəniyyət evinin səhnəsində məşhur gürcü klassiki Vaja-Pşavelanın ölməz pyesi “Meşə komediyası” tamaşasını canlandırıblar.

Tamaşa Bolnisi Bələdiyyəsi və Mədəniyyət Evinin dəstəyi ilə keçirilib.

“BEEZ” uşaq teatrı “Meşə komediyası” tamaşası ilə Qardabani, Rustavi və Marneulidə də qonaq olub.

Tamaşada baş rolları kiçik aktyorlar - Zəhra Akif, Nuray Əhmədova, Seymur Muradov, Amil Həsənov, Rabiə Əhmədova, Nuri Qurbanov, Əzəm Əfəndiyeva, İslam Akif, Necati Əliyev, Milana Əliyeva, Onur Muradov, Samir Əzizov və Məryəm Əliyeva ifa edirlər.

Tamaşanın quruluşçu rejissoru “BEEZ” Uşaq Teatrının bədii rəhbəri Binəli İslamoğlu, rəssamı AzMus, geyim üzrə rəssamı isə Mahnur Enverdir.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

არემჯის ინდივიდუალური განვითარების პროგრამა სტუდენტებისთვის

კომპანია არემჯიმ, სამთო-გეოლოგიური ტექნოლოგიების ცენტრში, სტუ-ს სტუდენტებისთვის ინდივიდუალური განვითარების პროგრამის პრეზენტაცია გამართა. პროექტის ფარგლებში, კონკურსისა და ორ ეტაპიანი გასაუბრების შედეგად შერჩეულ სტუდენტებს, არემჯის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, მათ კომპეტენციებსა და ინტერესებზე მორგებულ დუალური სწავლების დროში გაწერილ გეგმას შესთავაზებს.

ამის შესახებ, კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ, ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში გიორგი ჩხეიძემ ისაუბრა და სტუდენტებს პროექტში ჩართვისაკენ მოუწოდა.

„ვფიქრობ, რომ სტუდენტებისთვის ეს არის ძალიან კარგი შესაძლებლობა, გაეცნონ არა მხოლოდ მათ მიერ არჩეულ პროფესიებს, არამედ ჩვენი კომპანიის მუშაობის სრულ ციკლს და ცალკეული სამსახურების მუშაობის სპეციფიკას. პირობითად, 1 წლის თავზე პროექტის მონაწილეს აქვს სრული წარმოდგენა თუ როგორ ხდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, მისი გადამუშავება და რეალიზაცია. რა როლი აქვს ყოველდღიურ საქმიანობაში შრომის უსაფრთხოებას და გარემოს დაცვის ასპექტებს და სხვა.“- განმარტა ჩხეიძემ.

არემჯის ინდივიდუალური განვითარების პროექტში 2020 წელს 5 სტუდენტი ჩაერთო, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სპეციალურად მათთვის შედგენილი სასწავლო პროგრამა და დღეს კომპანიაში არიან დასაქმებული. პროექტის ფარგლებში მონაწილის ინდივიდუალურ განვითარებას საშუალოდ 1 წელი დაეთმობა და მისი მიმდინარეობისას სტუდენტები ანაზღაურებას მიიღებენ.

მერი ლეკიშვილი - გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი: „ვარ გეოლოგიის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი. პროექტის შესახებ პროფესორ-მასწავლებლებისაგან შევიტყვე. ვფიქრობ, ინდივიდუალური განვითარების პროგრამა ძალიან მაგარი შესაძლებლობაა, ჩვენი მომავალი პროფესიული განვითარებისთვის. როგორც პრეზენტაციაზე მოვისმინე, პროექტის ფარგლებში შერჩეული სტუდენტებისთვის შედგება ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესო განვითარების გეგმა. ძალიან დამაინტერესა შრომის უსაფრთხოების და ეკოლოგიის მიმართულებით ცოდნის მიღების შესაძლებლობამ.“

არემჯის მხარდაჭერით დმანისში, ღია ცის ქვეშ, ანსამბლ მართვეს სოლო კონცერტი გაიმართა

ანსამბლის დამაარსებლის, ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფის გივი ტატიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე, ქართული სულისკვეთებით გაჯერებულმა ნომრებმა დამსწრე საზოგადოება საქართველოს კუთხეებში ამოგზაურა. ანსამბლი 16 საცეკვაო ნომრით წარსდგა მაყურებლის წინაშე, სცენაზე ერთმანეთს ოთხი თაობის მოცეკვავეები ენაცვლებოდნენ.

ორმოცწლიანი ისტორიის მანძილზე, ანსამბლმა არაერთ ფესტივალსა და კონკურსში მიიღო მონაწილება. ანსამბლ მართვეს მინიჭებული აქვს სახალხო სანიმუშო ანსამბლის წოდება და მიღებული აქვს არაერთი ჯილდო.

კომპანია არემჯის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, 2014 წლიდან სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლ მართვეს მხარდამჭერია და ხელს უწყობს ანსამბლის განვითარებას.

არემჯი ქვემო ქართლში მცხოვრები ხელოვანებისათვის ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასხვა სახის სოციალური პროექტების მხარდაჭერას.

გია აზარაშვილი

კომპანია არემჯის საბურღი დაზგის მემანქანე

კომპანია არემჯიში დასაქმებულ 3000-ზე მეტ ადამიანს შორის, გია აზარაშვილი ერთ-ერთია, რომელიც 24 წელია კომპანიაში საბურღი დაზგის მემანქანედ მუშაობს. საქმეს, რომელსაც უკვე მრავალი წელია ასრულებს, სიფრთხილით და პასუხისმგებლობით ეკიდება, რადგან წარმოების პროცესში ორივე კომპონენტი გასათვალისწინებელია. ბევრ ახალგაზრდას შეასწავლა და შეაყვარა საბურღ დაზგაზე მუშაობა. პროფესიით ქორეოგრაფს თავისი პროფესიით არ უმუშავია. პატარა ასაკში შექმნა ოჯახი და თავის პროფესიაში კვალიფიკაციის ამაღლება ვეღარ შეძლო, ამიტომ საზღვარგარეთ წასვლა და სამშობლოსგან შორს ყოფნა მოუწია. უცხოეთში ცხოვრებას სამშობლოში დაბრუნება არჩია, შეისწავლა სამთოელის საქმე და შეიყვარა თავისი ახალი პროფესია. გია აზარაშვილი, 1997 წლიდან კომპანიის თანამშრომელია, დღეს კი არემჯიში მისი ოჯახის წევრებიც არიან დასაქმებულები.

„ძალიან ძლიერი წარმოებაა არემჯი, აქ უამრავი ადამიანია დასაქმებული და ყველას ძალიან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. საქმე რომელსაც 24 წელია ვემსახურები, ძალიან მიყვარს და მსიამოვნებს მისი კეთება. საქმიანობას მეტად საინტერესოს ხდის კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან განხორციელებული მუდმივი განმავითარებელი აქტივობები. ისინი ზრუნავენ კომპანიაში თანამედროვე სტანდარტების დანერგვაზე და ახალგაზრდების ცოდნის გაღრმავებაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი თაობის განვითარებისათვის.“

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.